

„დამტკიცებულია“  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/02. 28.01.2019  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“  
სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტის საბჭოს მიერ.  
ოქმი № 02-02-06/01. 25.01.2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო მმართველობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საჯარო მმართველობის ბაკალავრი  
(BA of Public Administration)

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი  
პროფესორი – ბესიკ ბერიძე

ხიჭაური 2019

1. პროგრამის დასახელება - საჯარო მმართველობა (Public Administration)
2. მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)

**საჯარო მმართველობის ბაკალავრი**  
**BA of Public Administration**

**3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

- საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

**4. საბაკალავრო პროგრამის მიზანია:**

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:
- შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება;
- კვალიფიციური, შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი და ეთიკური ღირებულებებით აღჭურვილი პროფესიონალი საჯარო მოხელის მომზადება;
- მომავალ საჯარო მოხელეს მისცეს ფართო ცოდნა საჯარო მმართველობის შესახებ, ფართო ცოდნა საჯარო სამართლის, მენეჯმენტისა და სოციალურ-ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- გამოუმუშაოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ისუნარები, რომელებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას;
- შეიძინოს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი;
- შეიძინოს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის უნარი;
- გამოუმუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- შეძლოს საზოგადოების ფართო ფენებთან და ჟურნალისტებთან წარმატებული ურთიერთობა;

**5. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პედაგოგი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**1. ვერბალური**, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

**2. დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ

შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**3. ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.**

**5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

**6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება**- იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**7. ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**8. შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

**9. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**10. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**11. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**12. წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

**13. გონებრივი იერიში (Brain storming)**- ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ✓ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ✓ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- ✓ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- ✓ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ✓ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;

- ✓ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

6. **სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები:** ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული, საშინაო დავალების პრეზენტაცია, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, დამოუკიდებელი მუშაობა.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საჯარო მმართველობის პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

8. **სწავლის შედეგები: დარგობრივი კომპეტენციები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

- ✓ აქვს სფეროს ფართო ცოდნა.
- ✓ შეუძლია თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
- ✓ აქვს საჯარო სამართლის, მენეჯმენტისა და სოციალურ-ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა.
- ✓ გაცნობიერებული აქვს კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და მუნიციპალური სამართლის საფუძვლები. დეონტოლოგიის საკითხები საჯარო სამსახურში;
- ✓ საჯარო სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები, საქმის წარმოების არსი და მნიშვნელობა, საგადასახადო და საფინანსო სამართლის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები.
- ✓ გაცნობიერებული აქვს საზოგადოების თვისობრივი თავისებურებები, სოციალური პროცესის ლოგიკა, თანამედროვე სოციალური გარემო.
- ✓ გაცნობიერებული აქვს დიპლომატიის როლი პოლიტიკური კონფლიქტების მართვაში.
- ✓ დაუფლებულია პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა თეორიებს. შესწავლილი აქვს ბოლო ათწლეულში ქართულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- ✓ გამომუშავებული აქვს ის უნარები, რომლებიც განაპირობებენ მისწარმატებულ სამსახურებრივ კარიერას.
- ✓ შეეძლება უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი მოქმედება.
- ✓ ჩაერთვება პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში (მითითებების შესაბამისად). შეეძლება პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.
- ✓ ექნება შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი.
- ✓ აქვს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი.
- ✓ შესძლებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სპეციფიკის გათვალისწინებით.

- ✓ შეძლებს საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულებას; საფინანსო დოკუმენტების შევსებას, დამუშავებას და წარდგენას შესაბამის ორგანოებში, სხვადასხვა საფინანსო ოპერაციების კანონიერად წარმართვას,
- ✓ საგადასახადო სისტემასთან სწორი დაკანონიერი სამართლებრივი ურთიერთობების წარმართვას, საჯარო ორგანიზაციების და პერსონალის მართვას, ადამიანური რესურსების დაქირავებასთან, განვითარებასთან, კონფლიქტების მოგვარებასთან, ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებული ამოცანების შესარულებას.
- ✓ პოლიტიკური თეორიების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ძირითადი მესიჯების ჩამოყალიბებას და საზოგადოებისთვის მათ მიწოდებას.

### **დასკვნის უნარი**

- ✓ შეეძლება საჭირო ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება-ანალიზი;
- ✓ ასევე ექნება სიტუაციების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.
- ✓ ჩამოყალიბებული აქვს მრავალმხრივი აზროვნების უნარი. შეუძლია პრაქტიკული მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გამოტანა და მოგვარების გზების დასახვა.
- ✓ სხვადასხვა მმართველობითი თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა და სათანადო დასკვნების გამოტანა.
- ✓ შეუძლია დამაჯერებლად განავითაროს და დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი, ადეკვატურად აღიქვას დაგაანალიზოს საზოგადოებრივი პროცესები. აქვს პოლიტიკური და პიარ სიტუაციის, მოვლენების, ფაქტების შეფასების, ანალიზის და დასკვნის უნარი.
- ✓ სტუდენტი შესძლებს საჯაროს სამსახურებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის შერჩეული მიდგომის დასაბუთებას.

### **კომუნიკაციის უნარი**

- ✓ აქვს იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი.
- ✓ ასევე შეუძლია ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. განვითარებული აქვს ჯგუფური მუშაობის უნარი.
- ✓ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
- ✓ შეეძლება საზოგადოების ფართო ფენებთან, ასევე მედიის წარმომადგენლებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
- ✓ ექნება დებატებში ჩართვისა და საკუთარი პოზიციის ეფექტურად მიწოდების, ასევე განსხვავებული შეხედულებების გაზიარების უნარი.
- ✓ შეეძლება წარმართოს არგუმენტირებული მსჯელობა საჯარო მმართველობის პრობლემებთან დაკავშირებულ თემებზე, შეეძლება ორგანიზაციული კომუნიკაციების ეფექტური გამოყენება.
- ✓ შეეძლება მომგებიანად გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების ცოდნა პერსონალურ თუ საჯარო ურთიერთობებში.
- ✓ შეეძლება კომუნიკაცია კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში. გამომუშავებული ექნება პრეზენტაციის უნარი.

### **სწავლის უნარი**

- ✓ აქვს სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის და მრავალმხრივად შეფასების უნარი.
- ✓ აქვს ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
- ✓ აქვს საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და შესაბამისად, ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
- ✓ შეუძლია საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება, ასევე სრულფასოვანი მუშაობის წესების ათვისება. პროგრამის სათანადოდ ათვისება სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.

### **ღირებულებები**

- ✓ აქვს ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი.

- ✓ აქვს პატრიოტიზმის გრძნობა, არის მაღალი მოქალაქეობივი შეგნებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მატარებელი
- ✓ იცავს საჯარო მოხელისათვის აუცილებელ ეთიკურ ღირებულებებს.
- ✓ პატივს სცემს სხვის აზრს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

## 9. დასაქმების სფერო:

სპეციალობის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო საჯარო, ასევე კერძო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, ასევესამსახურებში, რომლებიც მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას. საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამისკურსდამთავრებულს ექნება უპირატესობა იმუშაოსსაჯარო დაწესებულებებში.სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლება სამართალმცოდნეობის,სოციალური მეცნიერებების, ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, სოციოლოგიის,კულტუროლოგიის სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა და საერთოდ, ყველა იმსამაგისტრო პროგრამის გავლა, რომლებიც სამართლის, სოციალურ დაჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფილს შეესაბამება.

## 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
2. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
3. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
4. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
5. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიითი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერიითი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.
6. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
  - ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 20 ქულით;
  - ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.
7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.
8. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
9. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:
 

დადებითი შეფასებები:

- ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
- ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
- ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–40 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომი (საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად სავალდებულოა ორი სასწავლო კურსის გავლა) ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი–15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

სასწავლო გეგმა																
	მოდულის/სასწავლო კურსის და სხვა სახის სამუშაოს დასახელება (პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვა)	კრედიტის რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				ლექცია	სემინარი	რეიტინგული დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი	I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	V სემ.	VI სემ.	VII სემ.	VIII სემ.	
	<b>საუნივერსიტეტო საგნები</b>	<b>45</b>														
1	<b>ინგლისური ენა</b>	<b>20</b>														
	უცხო ენა A 1								5							
	უცხო ენა A 2									5						
	უცხო ენა B1										5					
	უცხო ენა B2 (დარგობრივი)											5				
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	125	30	26	4	5		5							
3	ქართული ხელოვნების ისტორია . ზოგადი კურსი	5	125	30	26	4	5			5						
4	აკადემიური წერა	3	75	8	18	2	2	45		3						
5	სოციალური ფსიქოლოგია	2	50	14	3	1	2	30		2						
6	ფილოსოფიის შესავალი	2	50	15	15	1	2	17	2							
7	საქართველოს ისტორია	3	75	15	8	4	3	45	3							
8	ქართული ლიტერატურის ისტორია	5	125	30	26	4	5	60	5							
	<b>მიმართულება სამართალი</b>	<b>50</b>														
9	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5	125	30	11	4	5	75		5						
10	ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი	5	125	30	11	4	5	75		5						
11	საარჩევნო სამართალი	5	125	30	11	4	5	75			5					
12	სამოხელეო სამართალი	5	125	30	11	4	5	75			5					
13	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5	125	30	16	4	5	70			5					
14	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	5	125	30	11	4	5	75				5				
15	მუნიციპალური სამართალი	5	125	30	13	4	3	75				5				
16	საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	125	30	26	4	5	60				5				
17	სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები	5	125	30	26	4	5	60	5							
18	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5	125	30	26	4	5	60					5			
	<b>სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება</b>	<b>60</b>														
19	პოლიტ. ელიტის ისტორია და პოლიტიკური ლიდერი	5	125	30	26	4	5	60					5			



20	პოლიტიკური აზროვნების ისტორია	5	125	30	26	4	5	60		5						
21	სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტ. კულტურა	5	125	30	26	4	5	60								5
22	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	125	30	26	4	5	60				5				
23	საჯარო პოლიტიკის შესავალი	5	125	30	26	4	5	60					5			
24	სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე მოდელები	5	125	30	26	4	5	60			5					
25	პოლიტოლოგია	5	125	30	26	4	5	60	5							
26	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	125	30	26	4	5	60					5			
27	პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტინგი	5	125	30	26	4	5	60						5		
28	სახელმწიფო მართვის საფუძვლები	5	125	30	26	4	5	60								5
29	საერთაშორისო ორგანიზაციები	5	125	30	26	4	5	60								5
30	საერთაშორისო კონფლიქტები და უსაფრთხოება	5	125	30	26	4	5	60								5
	<b>მიმართულება ეკონომიკა და ფინანსები</b>	<b>40</b>														
31	საგადასახადო საქმე	5	125	30	26	4	5	60					5			
32	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5	125	30	26	4	5	60				5				
33	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	125	30	26	4	5	60					5			
34	ეკონომიქსი	5	125	30	26	4	5	60			5					
35	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	5	125	30	26	4	5	60							5	
36	სტატისტიკის თეორია	5	125	30	26	4	5	60							5	
37	რეგიონული ეკონომიკა	5	125	30	11	4	5	75								5
38	მუნიციპალური მართვა	5	125	30	11	4	5	75				5				
	<b>არჩევითი დისციპლინები</b>	<b>15</b>											5	5	5	
39	დიპლომატია	5	125	30	26	4	5	60								
40	მეტყველების კულტურა	5	125	30	26	4	5	60								
41	გეოპოლიტიკა	5	125	30	26	4	5	60								
42	მართვის სოციოლოგია	5	125	30	26	4	5	60								
	<b>საბაკალავრო ნაშრომი (არჩევითი)</b>	<b>10</b>														<b>10</b>
	<b>სასწავლო პრაქტიკა</b>	<b>20</b>														<b>20</b>
	სულ	240							30	30	30	30	30	30	30	30

**შენიშვნა ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით**

ინგლისური ენის სწავლება მოიცავს სულ 20 კრედიტს. ინგლისური ენის სწავლება ხდება სტუდენტთა ცოდნის დონის მიხედვით შემდეგი სქემის შესაბამისად:

1. ნულოვანი დონის სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-1 საფეხურით და აგრძელებენ A-2 დონით თანმიმდევრულად.

2. საბაზო დონის მქონე სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-2 დონით და აგრძელებენ B-1 დონეს თანმიმდევრულად.

სწავლის შედეგების რუკა								
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	<b>ინგლისური ენა</b>	20						
	უცხო ენა A 1							
	უცხო ენა A 2							
	უცხო ენა B1							
	უცხო ენა B2 (დარგობრივი)							
2	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5						
3	ქართული ხელოვნების ისტორია . ზოგადი კურსი	5						
4	აკადემიური წერა	5						
5	სოციალური ფსიქოლოგია	5						
6	ფილოსოფიის შესავალი	5						
7	საქართველოს ისტორია	5						
8	ქართული ლიტერატურის ისტორია	5						
9	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5						
10	ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი	5						
11	საარჩევნო სამართალი	5						
12	სამოხელეო სამართალი	5						
13	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5						
14	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	5						
15	მუნიციპალური სამართალი	5						
16	საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5						
17	სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები	5						
18	პოლიტ. ელიტის ისტორია და პოლიტიკური ლიდერი	5						
19	პოლიტიკური აზროვნების ისტორია	5						
20	სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტ. კულტურა	5						
21	საერთაშორისო ურთიერ-	5						

	თობების შესავალი							
22	საჯარო პოლიტიკის შესავალი	5						
23	სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე მოდელები	5						
24	პოლიტოლოგია	5						
25	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5						
26	პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტინგი	5						
27	სახელმწიფო მართვის საფუძვლები	5						
28	საერთაშორისო ორგანიზაციები	5						
29	საერთაშორისო კონფლიქტები და უსაფრთხოება	5						
30	საგადასახადო საქმე	5						
31	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები							
32	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5						
33	ეკონომიქსი	5						
34	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	5						
35	სტატისტიკის თეორია	5						
36	რეგიონალური ეკონომიკა							
37	მუნიციპალური მართვა	5						
38	დიპლომატია	5						
39	მეტყველების კულტურა	5						
40	გეოპოლიტიკა							
41	სოციოლოგია	5						

## პროგრამის ადამიანური რესურსი

1. **ბესიკ ბერიძე** - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი. პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, მუნიციპალური მართვა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტინგი
2. **ავთანდილ დიასამიძე** - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი. პოლიტიკური აზროვნების ისტორია, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თანამდებროვე მოდელები,
3. **სონია ჩეჩელაშვილი** - ასისტენტი. სტატისტიკის თეორია
4. **ნათელა ბერიძე** - სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორი, პროფესორი, სოციოლოგია, ფილოსოფიის შესავალი
5. **ლელა ჯახაია** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტი, ეკონომიქსი, რეგიონული ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
6. **თენგიზ მოისწრაფიშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო კონფლიქტები და უსაფრთხოება, დიპლომატია,
7. **ნიკოლოზ მეგრელიშვილი** - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი
8. **ხათუნა მურადიშვილი** - საჯარო მმართველობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი, სახელმწიფო მართვის საფუძვლები, საჯარო პოლიტიკის შესავალი, პოლიტიკური ელიტის ისტორია და პოლიტიკური ლიდერი, საერთაშორისო ორგანიზაციები
9. **რაჟდენ ფუტყარაძე** - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მოწვეული ლექტორი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, მუნიციპალური სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები
10. **ჰამლეტ სანიკიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი, ასისტენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
11. **გიორგი აბუსელიძე** - მოწვეული ლექტორი, საგადასახადო საქმე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი
12. **მუკუტაძე ივერი** - ეკონომიკის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი. საოფისე კომპიუტერული პროგრამები
13. **ნონა შუმანიძე** - პროფესორი, ქართული ხელოვნების ისტორია
14. **თალიკო ბერიძე** - პროფესორი, აკადემიური წერა
15. **თეა ხინთიბიძე** - ფსიქოლოგიის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, სოციალური ფსიქოლოგია
16. **სულხან ალექსაია** - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ისტორია, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია
17. **ეთერ დიასამიძე** - ასოცირებული პროფესორი, ქართული ლიტერატურის ისტორია
18. **თამილა ჩურკვეიძე** - ინგლისური ენა
19. **მზია შავაძე** - მოწვეული ლექტორი, საარჩევნო სამართალი, სამოხელეო სამართალი,
20. **თამარ ორაგველიძე** - ასისტენტი, მეტყველების კულტურა

### პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია თანამდებროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურაზე. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.
- კომპიუტერულ ცენტრებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.